ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, SH.RUSTAVELI STR., SENAKI, GEORGIA

Tel.: 0413 27660, 275016
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address: www.senaki-sakrebulo.ge

განკარგულება:**g-41. 41251502**
თარიღი:**30/05/2025**

შ.პ.ს. ,,სენაკის აბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთინების'' 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის შეფასების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი "24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ.ა" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის (დებულების) დამტკიცების შესახებ'' სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 ნოემბრის №7 დადგენილების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. შ.პ.ს. ,,სენაკის აბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების" 2024 წლის წარმოდგენილი ანგარიშის შესაბამისად, შეფასდეს დადებითად.
2. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას და შ.პ. ს. ,,სენაკის აბულატორიულ-პოლიკლინიკურ გაერთიანებას".
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №247).

საბა ოდიშარია

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

სენაკის მუნიციპალიტეტი

SENAKI MUNICIPALITY

შპს ამბულატორიულ-
პოლიკლინიკური გაერთიანება

LTD AMBULATORY
POLYCLINIC UNION

ნაკი, შ.რუსთაველის ქ. N 114; ტ: 0413276834; 0413276846 ;
rustaveli St N 114; Senaki, 4100 T: 0413276834; 0413276846

ანგარიში: GE90LB0113192691591000 ლიბერთი ბანკი LBRTGE22
accounts: GE90LB0113192691591000 LIBERTY BANK LBRTGE22

N 57

20.05.2025წ.

შპს ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების დირექტორის 2024 წლის ანგარიში

შპს სენაკის ამბულატორიულ პოლიკლინიკური გაერთიანების კონკრეტული მიზანია სენაკის მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურეობის გაწევა. შპს ა/პ გაერთიანება ემსახურება საყოველთაო ჯანმრთელობის პროგრამით დაზღვეულ 7897 ბენეფიციარს. (მ.შ. ძირითადი კონტიგენტი შეადგენს 5103, დამატებითი კონტიგენტი 2794 ბენეფიციარი) კერძო სადაზღვევო კომპანიების მიერ დაზღვეულ პირებს და მეზობელი რაიონებიდან მოსულ მოქალაქეებს.

მოსახლეობის ნორმალური და ხარისხიანი მომსახურეობისათვის შპს ა/პ გაერთიანებას გააჩნია შემდეგი კაბინეტები: ნევროლოგიური, რევმატოლოგიური, ოფთალმოლოგიური, ქირურგიული, ოტოტინოლარინგოლოგიური, ენდოკრინოლოგიური, ონკოლოგიური, კარდიოლოგიური, ნეფროლოგიური, გადაუდებელი მომსახურეობის კაბინეტი, ფთიზიატრიული, ექოსკოპია, ლაბორატორია იჯარით.

შპს ა/პ გაერთიანება დაკომპლექტებულია მაღალი კვალიფიკაციის სერთიფიცირებული ექიმებითა და მედ. პერსონალით, ფუნქციონირებს 4 თერაპიული უბანი. სულ მომსახურე პერსონალი შეადგენს 45 თანამშრომელს, მათ შორის: ექიმ-თერაპევტი 4, ექიმ-სპეციალისტი 17, საშ. სამედიცინო პერსონალი 9, მართვის აპარატი 7, მომსახურე პერსონალი 8.

შპს ა/პ გაერთიანებაში მუშაობს სხვადასხვა სამედიცინო პროგრამები:

1. ჯანდაცვის გეგმიური ამბულატორიული მომსახურეობა;
2. ჯანდაცვის გადაუდებელი ამბ. მომსახურეობის პროგრამა, რომელიც შეწყდა 2023 წლის 04 სექტემბერს და აღდგა 2024 წლის 20 მარტს.
3. ,,C,, ჰეპატიტის სცრინინგის პროგრამა;
4. ,,C,, ჰეპატიტის მკურნალობის პროგრამა;
5. ტუბერკულოზის სახელმწიფო პროგრამა;
6. სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის პროგრამა;
7. სამედიცინო სოციალური ექსპერტიზისა და კონტროლის პროგრამა;
8. სეზონური გრიპის ვაქცინაციის პროგრამა;
9. ,,B,, ჰეპატიტის ვაქცინაციის პროგრამა;
10. წწყ-ს ვაქცინაციის პროგრამა.

შპს ა/პ გაერთიანების მომსახურეობის მომხმარებლები არიან ძირითადად მთავრობის # 36, #218 და #165 (არასაპენსიო მოსახლეობა, მიზნობრივი ჯგუფები- შეჭირვებული მოსახლეობა და საპენსიო ასაკის მოსახლეობა) დადგენილებით საყოველთაო დაზღვევას დაქვემდებარებული კონტიგენტი, ასევე გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურეობის პაციენტები.

2024 წელს სამედიცინო მომსახურეობა გაეწია 10671 მოქალაქეს, მათ შორის დაავადებით 6346 ბენეფიციარს.
სკრინინგი ჩაუტარდა : აივ ინფექცია შიდსზე 469მოქალაქეს; ,,C'' ჰეპატიტი 567 მოქალაქეს.
სეზონური გრიპის ვაქცინაცია ჩაუტარდა 365 ბენეფიციარს, ,,B,, ჰეპატიტი - 32 მოქალაქეს; წწყ - 10 მოქალაქეს.
გადაუდებელი ამბ. მომსახურეობა გაეწია 2200 მოქალაქეს. ,,C,, ჰეპატიტის სახ. პროგრამით მკურნალობა ჩაიტარა 21-მა მოქალაქემ.
დაწესებულებას რომ არ ჩახსნოდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამები მიღებული უნდა ქონოდა საერთაშორისო აკრედიტაცია. ამისათვის 2023 წლის ნოემბრის თვეში ,,ISO 9001'' სერთიფიკატის მისაღებად ხელშეკრულება გავაფორმეთ ავსტრიულ კომპანიასთან - TUV AUSTRIA.

2024 წელს შპს ა/პ გაერთიანებამ ინტენსიური მუშაობა გაწია სერთიფიკატის მისაღებად, რის შედეგადაც წარმატებით გაიარა აკრედიტაცია 2024 წლის 10 ივლისს., რაც ხელს შეუწყობს სამედიცინო მომსახურების მომხმარებლების შენარჩუნებას და კიდევ უფრო გაზრდას.

2024 წელს შპს ა/პ გაერთიანებამ გასწია 411077 ლარის ღირებულების სამედიცინო მომსახურეობა. მათ შორის: სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამებით მომსახურეობით 153099 ლარი და გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურეობით 146617 ლარი, ტუპერკულოზის მართვით 18968 ლარი, შიდა სტანდარტით 47930 ლარი, სხვა შემოსავალი 44463 ლარი. მათ შორის იჯარით: შპს ,,ბიოლაბი 2024'' - 1133 ლარი, შპს სამედიცინო ცენტრი ,,დიომედი" - 2400 ლარი.

2024 წელს გახარჯულია სულ 410991 ლარი. აქედან: ხელფასებზე 273078 ლარი, დარიცხულია ცვეთა 20334 ლარი, ნედლეული , მასალები და მედიკამენტები 15007 ლარის ღირებულებით. ლაბორატორიული ხარჯი 30050 ლარი, ჯარიმა 29943 ლარი, აკრედიტაცია 8157 ლარი, სხვადასხვა ხარჯები 34336 ლარი.
სამეურნეო წლის მოგებამ შეადგინა 86 ლარი.

სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ შერჩევით შემოწმებისას შპს ა/პ გაერთიანებაზე დაკისრებულმა საჯარიმო სანქციებმა უარყოფითად იმოქმედა ამ ფინანსურ შედეგებზე.
შპს ა/პ გაერთიანების სამედიცინო მომსახურეობა მოიცავს ძალიან ფართო ასორტიმენტს. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პერსონალის გარდა შპს ა/პ გაერთიანებამ საკუთარი შემოსავლებით დააფინანსა სახ. პროგრამის დაფინანსების მიღმა დარჩენილი ექიმ სპეციალისტები: რევმატოლოგი, ტრავმატოლოგი, ონკოლოგი, დერმატო ვენეროლოგი და ნეფროლოგი.

იმედია სახელმწიფო გაზრდის საყოველთაო ჯანდაცვის გეგმიური ამბულატორიული პროგრამით გათვალისწინებულ ძირითადი და დამატებითი კონტიგენტის (რომელიც შეადგენს 1,93 და 1,07 ლარს) დაფინანსებას, ასევე სენაკის მუნიციპალიტეტიც, რომლის დაქვემდებარებაშიც ჩვენ ვართ. დაგვეხმარება ფინანსურად და ჩვენც ჩვენი მხრიდან გაუზრდით ხელფასებს დაწესებულების ყველა თანამშრომელს, ჩავატარებთ სარემონტო სამუშაოებს, შევიძენთ სხვადასხვა ტიპის სამედიცინო აპარატურებს. ავაწყობთ ლაბორატორიას, რენდგენის კაბინეტს, რაც ხელს შეუწყობს ა/პ გაერთიანებას კონკრეტული მიზნის - მოსახლეობისთვის ხარისხიანი სამედიცინო მომსახურეობის გაზრდას და ამის შედეგად დაწესებულების მოგების გადიდებას.

შპს სენაკის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური
გაერთიანების დირექტორი: /მ.ბოჯგუა/